პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2025 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტის, ზურაბ გორგილაძის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პოეტის, ზურაბ გორგილაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


ფრიდონ ხალვაშის ქუჩა
ფრიდონ ხალვაშის ქუჩა
ფრიდონ ხალვაშის ქუჩა
ფრიდონ ხალვაშის ქუჩა
ფრიდონ ხალვაშის ქუჩა
ზაზა ბაღდავაძის II ხიხი
ზაზა ბაღდავაძის III ხიხი
1:13

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

19 / აგვისტო / 2025 წ.

06-03252323-03

KA011702294205425

№ **186677**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 14 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს NM25010236 განცხადებით მომართა მოქალაქე თამარ ამირეჯიბმა (პ/ნ: 01026011886) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, წავკისი, კოჯრის გზატკეც. მიმდებ; ქალაქი თბილისი, ოქროყანა (საკადასტრო კოდით N 81.02.19.657).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N 81.02.19.657) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1(ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ააიპ საქართველოს მწერალთა
შემოქმედებითი კავშირი

CREATIVE UNION OF GEORGIAN
WRITERS

საქართველო, თბილისი, მწერალთა სასახლე, ივ. მაჩაბლის №13
13 Iv. Machabeli st. The Writer's Palace, Tbilisi, Georgia
ტელ. Tel. 599-98-50-57
mako_gona@mail.ru

№ 11/01 10/0324/9875-03 „16" ივლისი 2024 წ.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გ. ტყემალაძეს

ბატონო გიორგი!

გულითადად მოგესალმებით და წარმატებებს გისურვებთ თქვენს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

ქართველ მწერლებს ახარებთ ის გარემოება, რომ მოზომილი და გონიერი ნაბიჯებით ეწევით უაღრესად მნიშვნელოვან საქმიანობას...

ჩვენი თხოვნა კი ერთ, მართლაც რომ, მეტად საშურ საკითხს ეხება.

მოგეხსენებათ, აჭარას არაერთი დიდებული მამულიშვილი ჰყავდა, რომელთაგან ქართველი ხალხისთვის განსაკუთრებით სათაყვანოა რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაშისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატის ზურაბ გორგილაძის სახელები. ეს ორი ადამიანი არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთელი საქართველოს დიდებისა და სიბრძნის სიმბოლოდ იქცა.

ზურაბ გორგილაძის და ფრიდონ ხალვაშის პოეზია, სწორედაც რომ, ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლი პოეტების სულიერი ღაღადისია, ისეთი პოეზიაა, რომლითაც ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა.

სამწუხაროდ, ასეთ დიდ შემოქმედთა სახელობის ქუჩები არ არსებობს თბილისში და ამიტომაც მოგმართავთ თხოვნით, რათა თბილისის ქუჩებს ეწოდოს თანამედროვე ქართული პოეზიის ორი უდიდესი წარმომადგენლის ზურაბ გორგილაძის და ფრიდონ ხალვაშის სახელები, რითაც ერთის მხრივ პატივს მივაგებთ ორი კლასიკოსის ხსოვნას, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენს საესავ დედაქალაქს მეტი ხიბლი შეემატება.

გულისხმიერებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

ღრმა პატივისცემით

საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032523347**
თარიღი: **21/08/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 20 აგვისტოს საქმე #06-03252323-03 დაკავშირებით, რომლითაც თამარ ამირეჯიბის NM25010236 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება (ს.კ.81.02.19.657).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ზურაბ გორგილაძე

(1935_ 2006)

ქართველი პოეტი, ღირსების ორდენის კავალერი

დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ გორგაძეებში 1944-1948 წლებში. 1956 წელს დაამთავრა სოფელ ხალას საშუალო სკოლა და იმავე წელს გახდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 1961 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა პარკში ქართული ენისა და ლიტერატურის წრის მასწავლებლად.

1963 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციასთან არსებულ ჟურნალ „ჭოროხის" სარედაქციო საბჭოში მხატვრულ რედაქტორად. ასევე 1992-1994 წლებში მუშაობდა ქობულეთის რაიონის სოფელ გორგაძეების საშუალო სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1961 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „ნედლი სალამური". ავტორია პოეტური კრებულებისა: „დიდი თვალები" (1964), „ლირიკული პოემები" (1969), „ზღვიდან აკრეფილი კენჭები" (1970), „ლექსები" (1973), „სინაზე" (1977), „ლირიკა" (1979), „მოფერება" (1984) და სხვ. ლექსების ძირითადი თემატიკაა სიყვარული, აჭარის ისტორიული. წარსული და პოეტის მშობლიური კუთხის მკვიდრთა სულიერი სამყარო. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997).

პოეტის სიცოცხლეში გამოიცა 16 წიგნი, ხოლო გარდაცვალების შემდეგ კი სამი წიგნი. იყო საქართველოს მწერალთა კავშირისა და მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.